


იუმორისტ. ჟურნალი



# აშაპატი აპოლონისი



№ 17



ო. ულინბ

უგბრძისი მუგაუ. გ. თუმანოვი. დასუეელოს ლმერომა! გრუყუგ. გრუყუგ, და მაინც  
-არაფერი გამოდის: ერთი ძირშივე ხმება და მეტე კი სულ არ ამოდის.

ტინჯ. კარ. აშხ.

# სამი დღე კახეთში.

## ღებუტაციები.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მოგზაურობის მთავარი მიზანი, — ხალხის ქირ-ვარამის გაგება იყო.

მართალია, ჩვენში ქირ-ვარამს დიდი ძებნა არ სჭირია, საითაც ვახინდავ ყველგან საქიროზე მეტია, მაგრამ მე მაინც გადავწყვიტე მომესმინა ადგილობრივ მოღვაწეთა ჩივილი სხვა და სხვა საქირ-ბოროტო კითხვებზე.

მხოლოდ ამ მოსაზრებით მივიღე რამოდენიმე ღებუტაცია ნადიკვრის „რესტორანში“.

შუახნისაზე ცოტა მეტ-ნაკლები შეიძლება ეწოდეს პირველ ღებუტაციას, რომელიც ჩემს წინაშე წარმოსდგა.

— კლიმივე! დაბაისლური და ენერგიული კაცის კილოთი წარმოსთქვა ღებუტაციამ.

— ეშმაკი. ფრიალ სასიამოვნოა. დაბრძანდით, ბატონო ჩემო.

— ნიჩევა. ია ჰეშკოშ პოსტაიუ!

— რისთვის იწუხებთ თავს. მე თქვენთან მეგობრული მუსაფიი მსურს და არა ოფიციალური. პრესა დღეს სულ სხვა გზას ადგია, მას ხალხთან დაახლოება სწყურია. იმედია გულახდილათ ვიბასებთ. ვისთან მაქვს ბედნიერება მუსაფიისა.

— მინისტრ ნაროდნავო პროსევეშენია...

— აააჰ!...

— ნე მინისტრ, ნო... პაპუჩიტელ...

— რასა ბრძანებთ? ის ხომ...

— ნეტ, ნე პაპუჩიტელ, ნო დილექტორ...

— როგორ? თქვენ დირექტ...

— ჩევა ვი პრიდირაიტეს... დირექტორი არა ვარ, მაგრამ ინსპექტორი ხომ მაინცა ვარ.

— ღმერთმა დამიფაროს, აბა რა ბრძანებაა. მე რა მაქვს თქვენთან საცილო.

— მაშ გეტყვით ყველაფერს. თუ სიმართლე გსურთ მე თელავში ყველაფერი ვარ: მინისტრიცა ვარ, პაპაჩიტელიც, დირექტორიც და ინსპექტორიც.

— ეს როგორ მოხდა? ვანა თელავს აეტონომია ხომ არ მიუღია ჯერ-ჯერობით?

— რის აეტონომია. ყველაფერი რეჟიმის საქმეა.

— აჰააა!

— თქვენ ხომ ვერა ხედავთ აქ ვერაფერ მაგრამ ჩემი ხელი რკინის სალტესავით არტ აქაურობას და, თუ მოსწავლე ახალგაზრდობა სულ არ ვარყენილა, ამ რკინის ხელებს უმადლოდეთ.

მე წავიწიე ხელებზე საკოცნელათ, მიუხედავთ იმისა, რომ იგი თელავის ქუჩებისაგან სის თავის მხრივ ბევრით არ განსხვავდებოდა, მაშინ, ბ-ნმა კლიმივემა, ამისი ნება არ მომცა.

— არა, ჩემი მოღვაწეობისათვის მე ჯილბა არა ვთხოვლობ. ის კი მინდა, შთამომავლობა მადვასებდეს სიკვდილის შემდეგ.

— აბა რასა ბრძანებთ? თქვენ ოლონდ მელეება ინებეთ, და მყისვე დარწმუნდებით, თუ გორ აფასებს ქართველი ხალხი თავის მოღვაწე...

— თქვენ გაგეგონებთ, ინცინდენტი ბაგელის შეწუხების შესახებ...

— რომელი ბაგეშია?

— აი აქ, საშუალო სასწავლებელში.

— არც ქორელოთან ჩხუბი გაგივიათ?

— სრულიად არაფერი.

— მაშ რის ეშმაკი ხართ, აღარ ვიცოდეთმანი.

მე შემრცხვა და ჩემი სიწითლე სამართლი იყო.

— წარმოიდგინეთ, ეს ქორელია, თუ გილი, აქ რალაც წარმოდგენების მართავს შეე და თურმე მოწაფეებსაც აპარებდა ჩემ-ჩემათ.

— ღმერთო ჩემო! ამ საშიშარი ამბის გენებაზე კინაღამ გული შემიწუხდა.

— როგორ, წარმოდგენებზე მოსწავლე გაზრდობას უშებდა?

— მაშ, მაშ! უშებდა და ისიც ჩემ დაუხავათ, თითქო მე მინისტრი კი არა, ვიდაც პიციყო.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო.

— მაგრამ გქონდეთ სიცოცხლე, მე იმას თება ვუჩენე. შევიქერი ერთხელ კულისებში ნამდვილი კორიანტელი ავაყენე.

— ხელი შემარჩინა ღმერთმა!

— ერთი ინცინდენტი რალაც ჩხელის რის“ თაობაზე ამიტესეს...

რალა გაგვარძელოთ, ჩვენმა მუსაფიმა მე რული ხსიათი მიიღო და მე ღრმით დავრწმუნე რომ ჯოჯოხეთს თელავში არც თუ იმდენათ რე მომხრეები ჰყოლია. ჩავიწერე ყველაფერი

ბ-ნმა კლიმეევმა მიამბო და ვეცდები ყველაფერს შესაფერი მალამო დავსდო.

- თქვენი სახელი?
- დავიწყებული.
- ა?
- დავიწყებული.
- რასა ბრძანებთ. სად გაგონილა თქვენოდნა კაცს სახელი დავიწყებოდეს?
- როგორ თუ დაჭვიწყებოდეს. სრულიადც არ დაჭვიწყებია, მაგრამ ჩემი სახელი დავიწყებულია.
- არაფერი მესმის თქვენმა გაზრდამ!
- აქ რა არის გაუგებარი, მე ვარ დავიწყებული.
- რატომ ხართ დავიწყებული?
- ჩემით.
- თქვენ მეხუმრებით მგონია. მართალია, მე ძლიერ მიყვარს ზუმარა კაცი, მაგრამ ახლა ამისათვის მაინც არა მცალია. გთხოვ, თქვენი ვინაობა გამაგებინოთ.
- დავიწყებული.
- ღმერთო ჩემო! დაწერილი მაინც არსად გაქვთ თქვენი სახელი და გვარი?
- გაზეთში.
- აჰააა! ახლა მესმის ყველაფერი. „დავიწყებული“ თქვენი სამწერლო სახელია.
- დიახ, დიახ.
- რატომ დაითქვით ასეთი პესიმისტური ფსევდონომი?
- იმიტომ, რომ ჩემს სოციალურ მდგომარეობას შეეფერება.
- თქვენ სოციალისტი ბრძანდებით?
- ნუ თუ ამასაც კითხვა უნდა? „სახალხო ჟურნალში“ ვთანამშრომლობ. თელავი ჩემი მრეველია.
- ფრიად სასიამოვნოა.
- განა მართა მე, მთელი თელავი სოციალ-ფედერალისტებით არის დასახლებული.
- ფრიად და ფრიად სასიამოვნოა. თუ ასეთი საზოგადოება გახვევით გარს, მაშ „დავიწყებული“ არა ყოფილხართ.
- ამხანაგები რას გიზამს, თუ საზოგადო დაწესებულებებში ადგილს არ მოგცემენ, რომ სული დაიპურა?

— მაშ თქვენ მართა მწერლობით ცხოვრობთ?

- სად გაგონილა. ჩვენში მწერლობით შორს ვერ წახვალ.
- მაშ?
- ვმსახურობ აქ საკრებულოში.
- ჩინებულია, თუ შრომის ფასი სავარგისია.
- აბა რასა ბრძანებთ. მართა მაგის ანაბარი ჩემი მტერი დარჩა.
- მაშ?
- ვგრედ წოდებული „არესტნი დომის“ გამგე ვარ. სულს თუ ვიპურებ, ისევ იქიდან. სამსახური...
- ამ სიტყვებზე ტანში ერთხანტელმა დამიარა. მშიშარა კაცი არა ვარ და მით უმეტეს სოციალისტებს არასოდეს არ ვუშინდები, მაგრამ „სახალხო ფურცლის“ სოციალისტმა ისეთი სამსახურის დარგი წამოაყენა, რომ უნებლიეთ გამაცივან. ამის შემდეგ რა ილაპარაკა ბ-ნმა დავიწყებულმა, აღარ მახსოვს. როცა ის წავიდა და ჩემს ოთახში ბ-ნი ნიკიფორე მამინაშვილი შემოვიდა „პრესის“ საქმეებზე მოსალაპარაკებლათ, მე უკვე სამოცი გრადუსი სიცხე მქონდა და აღარ მახსოვს, რა ილაპარაკა პატივცემულმა ინსპექტორმა.


ეშმაკი.

# „ჩინოვნიკის“ სიკვდილი.

(ა. ჩხევიძის)

ერთ მშვენიერ საღამოს, არა ნაკლებ მშვენიერი გზაყურაობით, ივანე დიმიტრი ჩერვიაკოვი, მეორე წყებაში იჯდა და „კორნეილის ზართა“ ცქერით სტკებებოდა. ის თვალ დასმით მისჩერებოდა სცენას და უაღრეს განცხრომას გრძნობდა, მაგრამ უცებ... მოთხრობებში ხშირად შეგხვდება ხოლმე ეს „მაგრამ უცებ.“ ავტორები დიახ მართალნი არიან: ცხოვრება ხომ სასწავა უცაბედობითა და მოულოდნელობით! მაგრამ უცებ სახე დაეღრიაჯა, თვალები გადაეკარგა, სუნთქვა შეუჩერდა... მოიშორა თვალეზზე ბინოკლი, დიხარა და „აფცხი“!!! ცხვირი დააცმინა, როგორც თქვენცა ხედავთ. ცხვირის დაცმინება არსად და არავისთვის აკრძალული არ არის. ცხვირს აცმინებენ გლეხებიც, პოლიცემისტებიც და ზოგჯერ, ასე გასინჯეთ, თვით „ტაინი სავეტნიკებიც“. ყველანი

# სტუმართმოყვარე მასკინკალი.



**ქალაქის მოსურავი.** მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! სოლოლაკში არც ერთი ბინა არ მოიძვედა, დანარჩენი უბნები კი თქვენი იყოს; საცა გინდათ, იქ დაიდეთ ბინა.

აცემინებენ ცხვირსა. ჩერვიაკოვს ოდნავათაც არ შერცხვენია, მოიწმინდა ცხვირსახოცით და როგორც ზრდილობიან კაცს შეჭფერის, ირგვლივ მიმოიხედა, ვინ იცის, იქნება ვინმე შევაწუხებ ჩემი ცხვირის დაცემინებითაო? ახლა კი, ცოტა არ იყოს, შერცხვა. შერცხვა, რადგან დაინახა, რომ მის წინ, პირველ წყებაში მჯდომარე ბერიკაცი გულდასმით იწმენდა მელიტ თავსა და კისერს ხელთათმანით და თან რაღაცას ბუტბუტებდა. ჩერვიაკოვმა იცნო ბერიკაცი: ეს იყო სამოქალაქო უწყების გენერალი ბრიზუალოვი, გზათა სამინისტროში რომ მსახურობს.

„მგონი დაგერწყვე!“ — გაიფიქრა ჩერვიაკოვმა. — ჩემი უფროსი არაა, სხვისია, მაგრამ მაინც სირცხვილია. უთუოდ ბოდიში უნდა მოვიხადო.

ჩერვიაკოვმა ჩაახველა, ცოტა წაიწია და ყურში ჩურჩრლით უთხრა გენერალს:

— უკაცრავათ, თქვენო აღმატებულებავ, ბო-

დიშს ვიხდი: მე თქვენ დაგერწყვეთ... უცებ მომივიდა...

— არა უშავს რა, არაფერია...

— ღვთის გულისთვის, მამატივით, მე ხოშ... მე არ მინდოდა!


— ოჰ, მანდ იჯექით, თუ ღმერთი გწამთ! მაკალეთ ერთი!

ჩერვიაკოვს შერცხვა, სულელურათ გაიღიმა და სცენაზე ყურება დაიწყო. უყურებდა ჩერვიაკოვი; მაგრამ იმ უღარეს სიამეს ველარ გრძნობდა რაღაც შეწუხება დაეწყო. ანტრაქტის დროს მივიდა ბიზუალოვთან, აუარ-ჩაუარა, დასძლია სიმხალე და ჩაილულულა:

— მე თქვენ დაგერწყვეთ, თქვენო აღმატებულებავ... მამატივით... მე ის კი ირ... ჩემი ჰქვინა...

— კარგია ერთი, თუ ღმერთი გწამდეთ! და მამატივით კიდევ და თქვენ კი აღარ მეშვებო!

# ქ ა ლ ე ზ ი ო მ უ ი.



1) დარაჯი ქალი. 2) მოწყალეების დანი. 3) მოწყალეების და პოზიციაზე. 4) ჯარის-„კაცი“ ქალები დასვენების დროს.

სიქვა გენერალმა და მოუთმენლათ შეაცმატურა ქვედა ტური.

— „დამაფიწყდაო, ამბობს და თვალეზში კო ვერაგული ნაპერწყლები უთამაშებს, — ვაიფიქრა ჩერ- ვიაკოვმა და ექვის თვალით გახედა გენერალს. — ლაპარაკიც არ ისურვა. კარგი იქნება, რიგიანათ აფუნსნიდე, რომ მე სულაც არ მინდოდა... რომ ეს ბუნების კანონია, თორემ, ვინ იცის: იფიქრებს, შეფურთხება უნდოდაო. ახლა რომ არ იფიქროს, შემდეგ იფიქრებს!...“

შინ რომ დაბრუნდა, ცოლის გაუზიარა თავის უზრდელობის ამბავი. ცოლმა, როგორც მას მოე-

ჩვენა, მეტათ დაუდევრათ შეხედა ამ საქმეს. ჯერ შეშინდა მხოლოდ და როცა გაიგო, რომ ბრიზა- ლოვი „სხვისი“ იყო, დამშვიდდა.

— მაინც და მაინც, შედი ერთი მასთან და ბოდიში მოიხადე, თორემ იფიქრებს, ხალხში თავ- დატყერა არ სცოდნიაო.

— საქმეც ეგ არის! მე მოვთხოვე კიდევ ბო- დიში, მაგრამ მან რაღაც უცნაურათ... ერთი სიტ- ყვით: გარკვევით ვერაფერი მითხრა. ესეც კია, ლა- პარაკის დრო არ იყო.

მეორე დღეს ჩერვიაკოვი ახალ ვიც-მუნდირში გამოეწყო, თმა და წვერი შეიკრიბა და წავიდა

ბრიჭალოვთან საქმის ვითარების ასახსნელათ... გენერლის მისაღებ ოთახში მრავალი მოხვეწილი დახვდა, და მოხვეწილთა შორის თვით გენერალიც დაინახა; თხოვნების მიღება დაეწყო კიდევ. გამოკითხა რამდენიმე კაცს და ჩერვიაკოვთან მივიდა.

— თქვენო აღმატებულება, დაიწყო მოხსენება ეკზეკუტორმა:—თუ გახსოვთ, თქვენო აღმატებულება, გუშინ თეატრში მე ცხვირი დავაცემინე/და... უცაბელათ თქვენ... თქვენ დაგნერწყვეთ... ბოდიშს ვიხ...

— რა სისულელეა!... ამას ვის გადავეკიდე! თქვენ რა გნებავთ?—მიუბრუნდა გენერალი შემდეგ მოხვეწილს.

— ლაპარაკი არ ინდომა! გაიფიქრა ჩერვიაკოვმა და გაფითრდა.—სჩანს, მიწყურება... არა, ამ საქმის ასე დატოვება ყოვლად შეუძლებელია... მე ავიუხსნი, უთუოდ ავიუხსნი...

გენერალმა უკანასკნელ მოხვეწელთანაც გაათავა ბაასი და შესასვლელათ გაემართა. ჩერვიაკოვმა გადადგა ერთი ნაბიჯი და ლულულულით დაიწყო:

— თქვენო აღმატებულება! უკეთუ თქვენი აღმატებულების შეწუხებას ვებედავ, ეს იმას ნიშნავს, რომ მონანიების გრძნობა... განზრახ ხომ არ ისა... თქვენ თითონ იცით, თქვენო აღმატებულება!...

გენერალს სახე დაეზრანქა, თითქო ეს არის, ახლავე ატირდებოდა და ხელი ჩაქნია.

— თქვენ დამცინით, მგონი, მოწყალეო ხელმწიფე!—წამოიძახა მან და კარებს იქით მიიმაღა.

„განა ეს დაცინვაა?—ფიქრობდა ჩერვიაკოვი.—სადღური დაცინვაა ეგა! გენერალია და ამას კი ვერ მიმხვდარა. რაკი ასეა საქმე, ბოდიშის მოხდაც აღარ მსურს ამ ვილაც დიდგულასთან. წერილს მივწერ და მოსვლით კი აღარ მოვალ! აღარ მოვალ, ჩემმა მზემ!

ასე ფიქრობდა ჩერვიაკოვი, შინ რომ მიდიოდა. მაგრამ წერილი მაინც ვერ მისწერა გენერალს. იფიქრა, იფიქრა და ვერ მოიფიქრა, როგორ უნდა დაეწერა. რაღა გაეწყობოდა, მეორე დღეს ადგა და ხელ ახლა მიადგა კარზე.

— მე გუშინ გვახილი თქვენთან, თქვენო აღმატებულება, დაიწყო ლულულული ჩერვიაკოვმა, როცა გენერალი მიუახლოვდა მის, —მაგრამ დასაცინათ კი არა, როგორც თქვენ ინებეთ ბრძანება. მე ბოდიშს ვინდიდი, ვინაიდან ცხვირის დაცემინების დროს დაგნერწყვეთ... დაცინვა კი თავის-

დღეში არ მიფიქრია. როგორ გავებედავ მე დაცინვის? უკეთუ ჩვენც დაცინვა დაეწყო, მაშინ ხომ არავითარი პაცივისცემა არ ყოფილა...

— გაეთრიე აქედან! დაიბლავლა აკანკლებულ გენერალმა და გალოჯჯდა.

— რა... რა გვიბრძანებთ? ჩურჩულით ჩაეკითხა თავზარდაცემული ჩერვიაკოვი.

— აქედან გაეთრიე მეთქი! გაიმეორა გენერალმა და ფეხები დააბრახუნა.

ჩერვიაკოვს რაღაც ჩააწყდა მუცელში. ველარაფერს ხედავდა, არც ვსმოდა რამე, დაიხია კარებისაკენ, გავიდა ქუჩაში და ლასლისით წავიდა... შინ რომ დაბრუნდა, ვიც-მუნდირ გაუხდელით დავვა დივანზე და... სული განუტევა.

## განსაცდელი

სწორეთ შაბათს საღამოს ე. ი. 22 მარიაშობისთვის, ჩემსა და ბ. ეშმაკს შორის შემდეგი დიალოგი გაჩაღდა:

**ეშმაკი.** იცი, რა უნდა გითხრა?

**მე.** აბა, რა უნდა ვიცოდე!

— ხვალ დილით უნდა წავიდე.

— სადა?

— კახეთში.

— არა, მართლა, თუ ხუმრობ?

— ღმერთს გეფიცები!

— კაცო, აკი ახლახან დაბრუნდი კახეთიდან?

— ჰო, მაგრამ... კიდევ უნდა წავიდე... საქმე მაქვს..

— არ შეიძლება, გავიგოთ—რა საქმეა?

— არა!

— უკაცრაოთ. მე კიდევაც დამავიწყდა, რომ ეხლა რთველი იწყება და უშენოთ შენს უზარმაზარ ზვარებში თავგზა აერევათ მოურავსა და მუშებს...

— მე არ გეხუმრები: ხვალ დილით კახეთში მივიღივარ და ეს ნომერი შენ უნდა შეადგინო!

— მიკვირს, ღმერთმანი! ან რა მოგარბეინებდა, როცა იქ იყავი და, თუ მოხველი, რაღა ჯანაბა მიგარბეინებს?

— ბევრი რამ არის, ჰორაკო, ქვეყნათ და ზეცათ, რაც აღამიანთ სიზმრადაც არ მოვლინებიან!

— მაინც, რა არის, პრინციო ჰამლეტ, იგი საგანი, რაც ეგრე უცებ კვლავ კახეთში მიგარბეინებს.

— მაგას ვერ გეტყვი, ჰორაციო, თუნდ თავს  
ბატყდეს შენი რისხვა ზევსისებური!.. ხუმრობა  
ეს იყოს და ზვალ დილით უთუოდ უნდა წავი-  
ყო უმეველათ, უსიკვდილოთ!

— რა გაეწყობა... წაბრძანდი...

— და შენ კი ნომერი უნდა შეადგინო.

— რა გაეწყობა: შევადგენ...

აქ შეწყდა ჩვენი ბაასი: ეშმაკი აივანში ჭავი-  
და, მე კი ოთახში დავრჩი და მისი მოულოდნე-  
ლისა და უეცარი გადაწყვეტილების მიზეზების გა-  
სარკვევით ტვინში ჩხრეკა დავიწყე:

სულ ერთი კვირაც არ გასულა, რაც კახეთი-  
ან დამბრუნდა, ვფიქრობდი მე: ამ ერთი კვირის  
წმინდაობაში ერთხელაც არ დაუძრავს სიტყვა  
სხვ წასვლის შესახებ; პირიქით, ახალ მოსული  
რომ იყო, ისიც კი სთქვა: კარგია, რომ კახეთში  
წასვლა მოვახერხე, თორემ ვინ იცის კიდევ რო-  
ლის მოვეწყობო. მაშ რას ნიშნავს ვერე უეცარი  
გადაწყვეტილება?

არა, აქ რალაც საეჭვო მიზეზები იფარება!.

ველაზე უფრო საკვირველი ისაა, რომ ვერე რი-  
ათ მალავს და არ მიძღვანებს იმ საქმეს, რომლის  
სჯლისთვისაც აპირებს წასვლას.

თავში მიკლურმა აზრმა გამიიღვა:

— ასე მოწყვეტით რომ თბილისიდან კახე-  
თში გაეშუროს, კაცი ან სიგიჟით უნდა იყოს შეპ-  
რობილი და ან... სიყვარულით. ხოლო ვინაიდან  
კუთმედრობის სხვა ნიშნები არ ემჩნევა, სიანს  
ტრფობის ალით ყოფილა აზნებული: გარნა, რო-  
გორ იცნობა განიჯნურებული მოყმე?—განვარგძ-  
ობდი მე მსჯელობას: უპირველეს ყოვლისა საქმე-  
ზე გული აუტრუვდება. ეს ნიშანი აშკარათ ეტყო-  
ბა. შემდეგ, სამიჯნურო ლექსების თქმას იწყებს...

— ეი!— მომესმა აივანიდან ეშმაკის ძახლი:  
თუ გახსოვს, როგორ არის გრიშაშვილის ლექსის  
ს ადგლი: „კოცნა კუბოს ნატეხია... მერე?

— შიგ მარხია ძაღლის თავი! ვუპასუხე მე.

— თფუი!

გაფურთხა ეშმაკმა, მაგრამ მე ამას ყურადღე-  
ბაც არ მივაქციე და ჩემ მჯელობას დავუბრუნდი:  
მაშ მეორე ნიშანიც არის. შესამეთ, მიჯნურის და  
ბახსიითებელია ის გარემოებაც, რომ მთავრის ცქე-  
რა უყვარს...

— კაცო, რომელ საათზე ამოვა მთვარე, არ  
იცო?—გამაწყვეტინა ფიქრი ეშმაკმა.

— გუნებას გაანჩია: ზოგჯერ, თუ ცუდ გუ-  
ნებაზე, სულაც არ ამოვა ხოლმე;

— თუ ძმა ხარ, ნუ ლაზღანდარობ, გამიჯავ-  
რდა ეშმაკი: მე სერიოზულით გეკითხები და  
შენ კი უკბილოთ ოხუნჯობ.

— ახლა კი ეჭვი აღარ არის, გაბმულა!—  
ვთქვი მე გუნებაში და და აივანში გავედი...

ეშმაკის გამიჯნურების საქმეს მე პრაქტიკუ-  
ლი თვალსაზრით შევხედე და უპირველეს ყოვ-  
ლისა შემდეგი საკითხი დავისვი: რა გავლენას მო-  
ახდენს ეშმაკის მოსალოდნელი დაოჯახიანება ჩვენს  
საერთო საქმეზე, ე. ი. ჟურნალის კეთილდღეობაზე.  
ამის გამოსარკვევით საკუთარ ჩემ მაგალითს მიფ-  
მართე: ვიდრე ოჯახს მოვეკიდებოდი, მე ფილოსო-  
ფიურ სარბიელისათვის ვემზადებოდი, მაგრამ შევი-  
რთე თუ არა ცოლი, რალაც ჩემთვის გაუგებარ  
მიზეზების გამო, უეცრივ იუმორისტი გავხდი. ამის-  
და გვარათ, ცოლის შერთვას ჩემთვის სწორეთ  
ისეთი მოულოდნელი ეფექტი მოჰყვა, როგორც  
მესამე სართულიდან გადმოვარდნას ბალმონტისა-  
თვის, რომელიც მანამდე, თურმე, ჩვეულებრივი  
მოპაკვდავი იყო, მაგრამ გადმოვარდა თუ არა მე-  
სამე სართულიდან, მყისვე პოეტი გახდა. განსხვა-  
ვება მხოლოდ ის იყო, რომ ბალმონტი კარგი პო-  
ეტი შეიქნა, მე კი ვერაფერიშვილი იუმორისტი.  
მაშასადამე, ცოლის შერთვა და დიდი სიმაღ-  
ლიდან გადმოვარდნა იმგვარათ არყვეს ადამიანის  
ტვინს, რომ ძირითადათ სცვლის ნიჭის თვისებას.  
თანახმათ ამ კანონისა, რა თქმა უნდა, ეშმაკის ნი-  
ქსაც არსებითი მეტამორფოზა მოვლის და, თუ  
დაქორწინებამ მე, ბუნებით ფილოსოფოსი, იუმო-  
რისტად მაქცია, აშკარაა—იუმორისტი ეშმაკი ფი-  
ლოსოფოსი შეიქნება. საზოგადოთ რომ გავსაჯოთ,  
ეს ნიჭისცვალემა არც თუ საზიანო იქნება საქარ-  
თველოს კულტურისათვის, ვინაიდან, კარგი ფილო-  
სოფოსები განა კარგ იუმორისტებზე ნაკლებ გვიქო-  
რია? მაგრამ, აკი მოგახსენეთ, რომ ამ საკითხის  
გადაწყვეტას მე ჩვენი ჟურნალის ინტერესებს ვლ-  
ფარდებდი და ამ მხრივ კი ეშმაკის გამიჯნურება  
დიდ საფრთხეს მოასწავებდა...

კვირა დილით ეშმაკი წავიდა.

დღეს ორშაბათია. ამ წუთში ის კახეთშია კი-  
დევ და ვინ იცის, თავის ჯულიეტას უზის გვერდით.  
მე კახეთი მხოლოთ ერთხელ ვნახე და ისიც ბავ-  
შობისას (25 წლის ძლივს ვიქნებოდი იმ  
დროს, ასე რომ იქაურობა ძლიერ ბუნდოვანათ  
მახსოვს), მაგრამ ჩემი ოცნების დახმარებით აღვი-  
ლათ ვხედავ იმ სურათს, რომლის პერსონაჟები  
ეშმაკი და მისი „ევა“ არიან.



ასეთი ვიყავი, როცა ტრამვაის ვაგონის სკამებზე  
ოთხ კაცზე მეტს არ უშვებდენ.

„ევა“ ნამდვილი კახელი ქალია: შავგვრემანი, შავთვალა, მარწყვის ტუჩებიანი და სადაფის კბილებიანი; ასაკით, ასე 17—18 წლის თუ იქნება (მე კარგათ ვიცი ეშმაკის გემოვნება!), ტანის ნაკვთები და მოხაზულობა ეს არის დამთავრებია და ნორჩი მკერდი, სოლომონ ბრძენის სიტყვით რომ ვთქვათ, ისე გამოსკვივის თხელ საზაფხულო ქსოვილში, როგორც „მტევანი ვენახისანი“ ვახის ფოთლებში. მოკმედება ნადიკვარის კორტოხზე სწარმოებს. ჩაშავალი მზის თითქოს ხილული სხივები ზურგში სცემს თავდახრილ „ევას“ და ნაზათ უფერავს თმის კულულს, რომელიც ნაწნავებში ველარ დატეულა და მარცხენა ლოყაზე გადმოჰყრია. ეშმაკი „ევას“ ჩრდილში ზის, შორი-ახლო, და აგზნებული თვალებით შესტკერის

ეშმაკი. (წყნარი ხმით) რა მშვენიერი საღამოა!


ეშმაკის თვალები. (უხმოთ) მიყვარხარ!

ეშმაკის გული. (ხმა მაღლა) დაგ-დუგ, დაგ-დუგ, დაგ-დუგ!

„ევა“ (სდუმს)

„ევას“ თვალები. (უხმოთ) მეც... მეც... მი... ყვარ...

„ევას“ გული. (ხმა მაღლა) ტაჟ-ტუჟ-ტაჟ-ტუჟ-ტაჟ ტუჟ!



ხუთ-ხუთის და ექვს-ექვსის ნება რომ დართეს, მეც ხერხი მოვიგონე.





ესლა ასეთილა ვარ!

ჩემმა ოინმა. გასკრა და თავისუფლათ ვეტეოდი ტრამეაის ვაგონში.

დუმილი. მხოლოდ თვალები და გულნი გა-  
ნაგრძობენ ბაასს.

ეშმაკი. რა მდიდარი მხარეა ეს თქვენი სამ-  
შობლო!

ეშმაკის თვალები: მიყვარხარ! მოდი ჩემთან!

ეშმაკის გული (უფრო ხმა მაღლა) დაგ-დუგ,  
ლაგ-დუგ, დაგ-დუგ!

„ევა“. ღიახს!

„ევას“ თვალები. მცხევე... მცხევენინ! მე...  
ვერა! შენ... შენ... მოდი!

„ევას“ გული. (უფრო ხმა მაღლა) ტაკ-ტუკ-  
ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ!

დუმილი.

„ევა“ (დუმილს შეიდეგ) თქვენ მართლა  
შწერალი ხართ?

ეშმაკი. ღიახ...

„ევა“ რა კარგია მწერლობა! მე ძალიან მი-  
ყვარან მწერლები!

ეშმაკის გული, (სხაპა-სხუპათ და უფრო ხმა-  
მაღლა) ღგ-ღგ-ღგ-ღგ!

ეშმაკი. (ძლივს ძლიობით) მაშ...მეც...ხომ ..  
მწერ...მწერალი ვარ! მეც გი...გიყ...გიყვარვართ.

„ევას“ გული. (ტყვიის მტყორცნელის სის-  
წრაფით) ტ-კ-ტ-კ-ტ-კ-ტ-კ!

„ევა“ (აღმუბრი მოედება) მე... ეგ არ მინ-  
დოლა... შეთქვა... ესე იგი...

ეშმაკი. (წამოდგება და „ევასკენ“ ნაბიჯს გა-  
ღადავს).

ეშმაკის გული. (გარინდდება)

„ევა“ (ერთ ნაბიჯს ეშმაკისკენ გადადგამს)

„ევას“ გული. (გარინდდება).

მზე ჩადის. ნადიკვარი და მთელი მიდამოები

დაიჩრდილა. პატარა ღრუბლის ქულა, მიჯნურებს რომ დალივილებს ზემოდან, ოქროს ჩარჩოში ჩასმულ გედსა ჰგავს, ან კიდევ მოვარაყებულ ვერცხლის გვირგვინს, ბედნიერ ქალვაქისთვის ზეცით ჩამოშვებულს. ეშმაკი და „ევა“ უძრავათ დგანან პირის პირ და ერთმანეთის სუნთქვას გრძნობენ. კიდევ ერთი ნაბიჯი და სასწაული მოხდება: ორი სხვა და სხვა ჯურის სხეული ერთ სხეულათ შედუღდება, მაგრამ ვერც ერთი ვერც ბედავს წინ წაწევას.

**ეშმაკი.** (დიდი ხნის დუმილის შემდეგ). მაშ... თქვენ... გიყვარ... გიყვართ მწერლები?

**„ევა“** (გამოერკვია) დიახ. ყველანი გარდა ერთისა (უკან დაიხია). ის ერთი კი ძალიანა მძულს...

**ეშმაკი.** (გაკვირვებული) ვინ? რომელი?

**„ევა“.** ერთი მწერალია... მამა ჩემს ლანძღავს ხოლმე... უნამუსო ვინმეა!.. იქნება, თქვენც იცნობთ.. ის მე მეზობლა! პაპამა სთქო, თუ შემხვდა, უთუოდ ვცემო... ახიცი იქნება მასზე! ამა რას ერჩის პაპს, რა ვქნა! იმ დღეს ლექსიცი კი დაუწერა გაზეთში პაპასა!.. სამასხარაოთ აიგდო!

**ეშმაკი.** (უკან დაიხეცს) ვინ... რა გვარია... რა გაზეთში სწერს?

**„ევა“** გაზეთში კი არა, რალაც ჟურნალია, „ეშმაკს“ აწერს, ეშმაკმა კი წაიღოს მისი თავი და ტანი! არა, პაპა უთუოთ სცემს იმას. ძალიანაც გამებარდება, ჩემმა მზემ... ნეტავი დააქვინებდეს და ციხეში ჩასვამდეს... მოუხდება!

**ეშმაკი.** (კიდევ დაიხეცს) უკაცრაოთ... მამა თქვენი ვინ ბრძანდება?

**„ევა“** განა არ იცნობთ პაპას? პრისტავია...

**ეშმაკის გული.** (აჩქარებით) დაგ-ღუგ; დაგ-ღუგ; დაგ, ღუგ!

**„ევა“** პაპამა სთქვა დღესა, ის ვილაც „ეშმაკიაო“, ეხლა თელავში ჩამოსულაო, უთუოდ უნდა მოენახო და ერთი ლაზთიანათ გავამთარახო... პაპას ხუმრობა ჭოდი უყვარს! თუ საღმე წააწყდა, უთუოთ გაამთარახებს.

**ეშმაკი.** (ირგვლივ მიმოიხედავს, თითქოს ვილაცს ემალებო) დაღამებულა კიდევ!

**„ევა“** ვის უტკვრით?

**ეშმაკი.** არავის... ისე... თუ დაღამდა მეთქი! მშვილობით ბრძანდებოდეთ.

**„ევა“.** (თითქო რალაცას მიხვდაო) მოიცადეთ, მოიცადეთ!

**ეშმაკი.** (მიდის) მშვილობით ბრძანდებოდეთ!

**„ევა“.** თქვენ, ეი! თქვენ ხომ არა ბრძანდებით ის ვილაც „ეშმაკია“?


**ეშმაკი.** (ნაბიჯს უმატა, თითქმის გარბის თავჩაღმართში) არა, ბატონო!

**„ევა“.** (ყვირის) თქვენა ხართ თქვენა! თქვენ როგორ გაბედეთ? წავიდე, ვუთხრა პაპასა!

შე დარწმუნებული ვარ, ეშმაკი ხვალ დილით აქ იქნება!

ეხლა კი აღარ დაუწყებს მთვარეს ცქერას! ვადარჩა ჩვენი ჟურნალი.

თავუნა.



მესტვირული.

არ მინდა ლექსები ვწერო, ვინმეს რო უძღვნა ძვირი, არც ის ივარგა, გავჩერე, სულ დაეღაღუმო პირია;

ეხლა დრო არის ისეთი, პირში მართლის თქმა სჭირია, მაშ მოდი, გულა გავბერო, ავაწრიბინო სტვირია.

ჯერ მურღულიდან დავიწყებ, არ შევეცები სხვასაო, აქ ერთ ჩინოსან ვაქებატონს მიუღილინებ კარსაო,

ვეტყვი: კოლა—ჯან, ქართველ ძმებს ნუ დაუხუტვებ თვალსაო, თორემ სტვირი ხომ ხელში მაქვს: ზე გადაგათხლემ თავსაო.

აქიდან სწრაფათ მოკუკუცხლემ, დავადექ დიდსა გზახედა; მოვინგხულე ქოროხი (ის მეტათ მიყვარს სხვაზედა),

აქ ვნახე, ტანჯულ მუშებსა ცრემლი სდიოდა თვალზედა;

სიტყვა შევკითხე და მითხრეს,  
 პასუხი მომცეს წამზედა:  
 მასწავლებლებათ რომ იყვნენ  
 გასულ წელს ჩვენ სოფელშია,  
 ეხლა ხელობა შესცვალეს:  
 ლამის გაგვწყვიტონ წელშია,  
 აგერ ექვსი თვე გათავდა,  
 ასე ვართ განსაცდელშია,  
 სახლში ვაპირებთ სამზავროთ  
 ფულიც აღარ გვაქვს ხელშია.

აქიდგან შემოვტრიოლდი,  
 ზევით ვიბრუნე პირია,  
 და ვინახულე ბათომში  
 მუშების გასაქირია:

ტანთ დაფლეთოდათ სამოსი,  
 წალას არ ქონდა ძირია,  
 ტეხნიკოსობის გინებით  
 არ მოასვენეს პირია.

ქვემო გურიას დავეყვი,  
 გზაზე არ შემხვდა ავია  
 და უვენებელათ სუფსაში  
 ზე ამოვეყვი თავია.

აქ მამულების ვეკილებს  
 თავს შამოედგა ხელია,  
 ბლომათ ეყარათ სუფრაზე  
 თამასუკები ძველია,  
 ამზობდენ, ვის მიესწერება  
 გასული ძველი წელია,  
 მეტი ღალისთვის მუშებმა  
 ყანებს აღაღეს ხელია.

აქაც გავბერე გულუნა,  
 სტვირიც მოვმართე ძალზედა  
 სულ სოფელ - სოფელ ვიარე  
 არ გამოვედი გზაზედა.

გულ შემაზრავი სურათი  
 წაწვე მომადგა თვალზედა,  
 ისმის ოხვრა და გოდება  
 ამონაკენისის ხმაზედა,

ღედა შვილს სტირის, ცოლი ქმარს,  
 ბაღლებს აქვს გასაქირია,  
 გადასახადი მატულობს,  
 თან საშოვარი ძვირია,

შემშილიც კარზედ მომდგარა,  
 დაუფენია პირია,  
 სოფელს არა ყავს პატრონი  
 შეუსუმბუქოს ქირია.

ეხლა ვებთოვი სიმღერას  
 ღიღინს ავლე პირია,  
 სულსა მიხუთავს სოფლისა  
 ესოდენ გასაქირია.

მეც დავიღალე ამ ყოფით,  
 თან მოსვენება მქირია,  
 ღრობით გადავინახე  
 ჩემი გულა და სტვირია.

ღღის-პირელი.

## გურული სცენები.

მანჩამობა წინა დღეს.

(გურული სცენა)

დომენტიე და პეტრიელაი.

**დომენტიე**... გამარჯობა, პეტრიელაე, შენი, რაფა მოგიკუპრავს ცხვირ-პირი, რაცხა ფარცაკი არ არის შენს თავზე.

**პეტრ.**—ოიპ! შენ არ დაგინახა ქრისტიანმა კაცმა, შენ, უწმინდურო, შენ! შენი გამარჯობა კი არა, სისხლი რომ დაელო, გული არ მომიშლის; რაფა, გულხამ აქანია კანცულარიაზე პრიგოვორი რომ დავადგინეთ, ნუ იქნება ტირილი, დღეო-შეგებო, მარიობა მოვსპვოთო, ესთე მოგესპო შენ სახელი, რომ შეგვეგვიწეთ: „დომენტი, შენი ჭირიე, აგი დაგვიწერე ვაზეთშიო, რა დიდი საქმე იყო, რომ წაგეჩხინა პაწაი, ქვეყანს შენ აკოლტოებ და ლანძღავ ვაზეთში და რა იქნებოდი, იგი გექნა!“...

**დომ.**—რაცხა შენ, პეტრიელაე, ან მაჩცხენა ფეხზე კი ამდგარხარ დღეს და ან ნაუქმურევი კი უნდა იყო, რაიყო, რომ გაგაცოფა, ჯერ გვიგე ამბავი და მერე იყმედე, დავწერე, აბა, რა ვქენი.

**პეტრ.** კაი შენს ცხვირს მუღუდეს, კარგად შენ იგი დავიწერია, ეგეპ! გვიხედე ჩემსას! ჩამოვედი პაწაი მოადრებით ყანიდან, ეგება სამე სახვალიოდ სიმინდი ვისესხო მეთქი, შევიხედე სახლში, რაღას შეიხედავ, ჩანწკრივებულარიან მტრედებივით: გლა-ხუნაი, მარკოზაი, ანდრიე, ანუსიე, ბაბუსიი, კვი-ზელიი, ხვარანძიე და რავიცი; მითხრეს, შენი ნახვა, პეტრიე, კაი ხანია გვინდოდა ჩვენ, მარა, ამ ვინ-მა შეგვიშალა ხელი და ახლა რავარც იქნა, ვიშო-ნეთ ღროი და შენთან ჭუჭუნიით და მუსაიფით გავ-ძღებოა“. რაცხანის გასაძლომათ მობრძანდით, კი

ვიცი მეთქი (გულში ვჩივი), ტინტილიოს ნაჭამ კატასავით ხართ წელში გამოტანადებული შიმშილით, ორი ოყა ქადი არ მოგპირავს თითოს მეთქინ, ვიფიქრე... აა! ავია შენი დაწერილი? შენ დამიწერე გაზეთში, მარიობას ნუ მოხვალთ მეთქინ, თვარა, დამიბატიყე მეთქინ, როდის გითხარით.

**დომ.**—კაცო, პეტრიელავ, რაფა დავიბატიყე? შენი სტუმრები რომ გაზეთს არ კითხულობდეს, რა ვუყო მერე, რა ჩემი ბრალია.

**პეტრ.** რა ექნა ახლა, ექნამე ბიქო სირცხვილი და იგია, ერთი ეკალი სიმინდი არ მაქ შენ.

**დომ.** მე რომ გასტავლო, ისე ქენი, უსირცხვილოს-უსირცხვილოთ მიეპყარი, ხვალ-მარიობას, დაბალ სადილობაზე გადიკიდე ტომარაი მკლავზე, სტუმრებს ბოდნი მუღზადე: უკაცრავად ვარ, სიმინდის საყიდლოთ მივალ ზგერ ტანციაზე, მომითმინეთ თქვენ, ვიყიდი, დავაფქავ და ერთ მინუთში გამოგოტანთ სადილს-თქვა, და ისე ჩვენი მტერი დეიფანტოს, იგენი მოკურცხლავენ სახლში.

**პეტრ.** ბიქო, მაგი კარგი მასწავლე, მაგას ნამდვილად ვიზამ, ავაშენა ღმერთმა...

ლუკაიეს ობოლი.

## სუფსელ და ჯინანჯირელ ქაღთა საუბარი.

**ელიკო.** დილა მშვიდობის, დაიკო!

**სადიკო.** დილა სიხარულის მოგცეს ღმერთმა, ჩემო ელიკო.

**ელიკო.** რაფა ყიდი ამა ყველს?

**სადიკო.** ცალობით არყვიდი, გირვანქა ხუთი შაურია შენისთანა ნაცნობთან და ისთე კი ექვსი შაური.

**ელიკო.** რა ამბავია დაო, ქვეყნის დაქცევა არ არის ასეთი სიძვირე?

**სადიკო.** ქვეყანა რომ წიკიზედ არის ახლა შეიტყვე, ცავ? ახალგაზდები ჩხუბში იხოცება. ძველი ქადი ქე შეეკამეთ, ახალი წვიმამ გააფუქა, ქვაი არ იქომა დასხვია რა მაქ მე უბედურს? ერთი ძროხა მყავს რაცხა ოროლ ქაქუტას გამოვწრიბავ, იგიც, თუ ასთეი არ გაყვიდე, რაით ვიყილო მქადი ამ ოხერი მუცლიზა. ჩემ რავს ვინ ჩივა დიავე, ბაღნების ცოდვა მკლავს, რომ იზღიფლებენ და მომაშურებენ:

ნენავ, მშოიო, აბა გუჩემდი, თუ ქევის გულში არ გაქ! მაინც, ყველაფერი გააძვირეს ამ ვაქებმა, ვერაფერს ვერ მიეკარები, დარდანელი დიკეტაო, ქვაი მაგინის თავში, მაგენს გაქვირება სხვისი არ აწუხებდეს; რავარც გაქვირებულს გნახავს, მაშინ გძერობს ტყავს.—

**ელიკო.** ხედავ, დავ, ამ ტანციის გვერდზედ გასარები რაფერ გაუკავებთან! მგონი ჩიტცი ვედარ ჩაფრინდება შიგ.

**სადიკო.** კბილები გაეკავა ამის გამკავებელს; ვინცხანის მიზეზით აგი აქანაი გააკავეს! ასეი დევართა აგი, რაფა რაცხა სოფლიდგან რამე ჩამოვიდოდა გასაყიდი პააჯირადგან მგზავრები ყიდულობდენ და ტანციის მოსამსახურენიც, ახლა ქე გააკავეს ასე, წყალი არ წეილონ ბაზარშიო და აქანაი კრანტთან არ დეიქესო.

**ელიკო.** დიდუქ! რას ვხედავ ამას! მწყუროდა ახლა, წყალს დავლევ მეთქი! არც წყალს ასმევს ღმერთი და არც ღვინოს ამის ასე მოხერხებელს, მანამ ცოცხალი ვიქნები, მძარს უსხამ ცეხლში და მისოულობას ამოგვიქნილოვ.

**სადიკო.** ვის აბრალევენ, დავო, იმის გაღობავას!

**ელიკო.** ვითამ ამ დიდი სახლის უფროს, მარა რავაც მითხრეს მაგი არ არის ამფერი ფინთი; იგი მუღამ, რომ რკინას ურაკუნებს, იმის ჯინაო.

**სადიკო.** ეცადონ ამისთანა საქმე და იცინონ ჩვენ-გაქვირებაზედ.

**ელიკო.** აგი ხომ ავია, მარა ჩვენი ფოშტის საქმე რომ იშლებმა, არ იცი დაო?

**სადიკო.**—რა ვიცი დაო, მე გაჩერებულბო მელაზონმა, გულამ ჩემი ბადიშის პასილკის გაგზავნა მინდოდა ჩხუბში, საცოდავმა ბერმა კაცმა ბევრი იწანწალა და ბოლოს რავაცხა გაგზავნა ამ ტანციიდან.

**ელიკო.** ხო, ასეა დაო აქანაი ამფერი გაქვირება; ამიზა ფოშტის გახსნა გვენდოდა და მოსანსახურებმა ჯერ გვოშალეს და გვიშალეს, თურმე ჯამაგირს მუკლებდენ, ბოლოს რავაც იქნა აქაურებმა ქე მოათავყუდეს საქმე, გურიელმა სიტყვა მისცა თავრობას, სახლს გავიპაჩინებთ და სამი წლის ვადით ქირაში მოვ

ცემთო, მერე შეიჯღინა ბზიკი და კანდრახის დაწერის დროს ქიარ იკადრა ვარი!—მაშინ რომ ეთქვა ვარი, სხოვან ახერხებდენ სახლს და ახლა ქე გამოგვისვა დანა კისერში, ასე გვიღალატა, დოა.

**სადიკო.** ღმერთი უღალატებს, დოა, ამფერ კაცს, რაფა, იძახიან განათლებულია, გურიელია კი-დო, ქვეყნის საქმეს უნდა ეხმარებოდეს, თვარა უნდა ფუშავდეს! მისი სიტყვილი, თვარა ამით სოფელი არც დაკეთდებოდა და არც წახდებოდა; ისეთი ცუდათ დაკარგა მამა მისმა მის გაზღაში ფარები, უკეთესი კაცი კი დარჩებოდა შეგონა.

**ელიკო.** ასეა ჩვენი სოფლის საქმეები, მეტრეც კი-დო ბევრია, მარა აღარ მცალია შინ მგჩქარება ბაღნები ცეხლში არ ჩამიცივდენ, მშვიდობით ბძანდებოდენ.

კიტე.

## ჩემი თავგადასავალს თხილსუი.

(მეგობრის ნამუბობა)

(დასასრული)

— აი, მოგახსენებთ. როდესაც ოსმალეთთან ომი გამოცხადდა მთელი თბილისის მცხოვრებნი ისე გაიტაცა ბრძოლის ჟინმა და ბრძოლის სურვილმა რომ ყველა მოხალისეთ ეწერებოდა, მაგრამ მათდა საუბედუროთ იარაღი საყოფი არ აღმოჩნდა და მთავრობაც იძულებული იყო უარით გამოეცხადებოდა ისინი, და არ მიეღო. რას იზამდენ, შეურიგდენ ისეც თავის ბედს და დაუბრუნდენ ჩვეულებრივ ქალაქურ ცხოვრებას, ხოლო ეს ბრძოლის ჟინი და სურვილი რომ დაემყყოფილებათ და მისთვის გასავალი ხზა მიეცათ, ერთმანეთ შორის გააჩაღეს ხელ ჩართული ბრძოლა. მთელი ქალაქის ცხოვრებნი ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ გაიყო: ერთის მხრით დღანან შოფერები, მჭეტლეები, ტრამავეის მემანქანენი და სხვანი, მეორე მხრით კი დანარჩენი მოქალაქენი. პირველი ბანაკი უფრო მომხადებელი აღმოჩნდა და დიდ ზიანსაც აყენებს მეორეს გამარჯვება ჯერ-ჯერობით პირველისკენაა. დღესაც დიდი შეტაკება მოხდა, ძლიერ დაზიანდა მეორე ბანაკი, მას გაუსრისეს ხუთი და დაუქრეს ათი. ერთი სიტყვით საშინელებაა. თუ კი სადმე

დაგიმარტოვეს არ დაგინდობენ გავსრესენ! დაბობოლაფა ჩემმა მოსაუბრემ.

— ოჰ, ეს რა უბედურება ყოფილა! შეშინებული წამოვიძახე მე.

— ეჰ, ნუ გეშინიათ! აღრე შეეჩვევით ღიმილით მითხრა მან, შემდეგ გამოქმევილობა და გაუღდა თავის გზას.

მე კი ძლიერ დამაღონა და შემაშინა ამ უკანასკნელმა ამბავმა, მაგრამ აქ გამახსენდა ლუარსაბ თათქარიძე, რომელმაც ქალაქში ჩასვლის დროს სამი დიდი კენჭი გადაყლაბა და მოინელა და მეც ცოტათი იმედი მომეცა. „თუ კი ლუარსაბმა სამი დიდი კენჭი ქვა მოინელა, ნუ თუ მე ვერ შევეჩვევი ამ შედარებით უმნიშვნელო ომს“ გავივლე გულში და იმედ მოცემულმა გავსწიე წინ.

### 4. სასადილოში.

უკვე შუადღეზე გადასულიყო. დალილს, მოქანცულს და ათას ქირში გამოვლილს, საშინლათ მომშვივებოდა. მივიხედ-მოვიხედ ჩემს გარშემო და სწორედ ჩემს წინ სასადილო დავინახე, რომლის „ვივსკაზე“ რუსულათ დიდი ასოებით ეწერა: „Столовое Общдъ и ужинъ“ ქვეშ კი წერილი ასოებით მიჩხაზნილი იყო შემდეგი: „სასადილო-ვახშაში“.—ამ სასადილოს პატრონი უეჭველათ ქართველი იქნება მეთქი, ვიფიქრე და სწრაფი ნაბიჯით გავსწიე მისკენ. სასადილოში შესვლისთანავე ბუზების უზარმაზარი გუნდი მხიარული ზუზუნით შემომეგება; სამხიარულო მიზეზით კქონდათ, რადგან მთელი სასტუმრო იატაკი პურის ნამცეცებით, ძვლებით, და ხორცის ნაგლეგებით იყო მოფენილი. ბუზები გუნდებთ ხან ერთ ავგილას დაგროვდებოდენ, ხან მეორეს, ერთი სიტყვით მხიარულ ქეიფს ეწეოდენ, დროს ატარებდენ. სასადილოში ჩემი ყურადღება მიიპყრო, კედელზე მიყრდნობილმა მოსამსახურე „ბიჭმა“, მისი წინსაფარი, რგორც ეტყობოდა 1905 წელს მერე არ გარეცხილიყო. დანახვის თანავე საჩქაროთ მომიახლოვდა და „რას ინებებთო“ შითხრა; მეც ვუთხარი რაც მინდოდა და ჩამოვჯექი ერთ საკმაოდ გაქონილ მაგიდასთან; მანაც სწრაფათ მომიტანა ჩემი კერძი, სახელოები ცხვირზე გაის-გამოისვა, და კიდევ თავაზიანათ შემეკითხა, „სხვას რას ინებებთო“.

რადგანაც ძალზე მწყუროდა, წყალი ვსთხოვე. მან ამ თხოვნაზე მომიბრუნინა ჭიჭით რაღაც სით-

ხე და წინ დამიდგა. მე განცვიფრებული ვაცქერდებოდი ამ სითხეს და ვერ ამომეცნო რა იყო. ისევ კვასს ვაგადა, მაგრამ უფრო ყვითელი იყო.

— ეს რა არის? შევეკითხე ბოლოს; მან გაკვირვებით შემომხედა, ალბათ ძლიერ ეუცხობოდა ჩემი კითხვა.

— წყალი გახლავს, ბატონო!

აქ წყალიც სხვანაირი სკოდნით გავივლე გულში.

— როგორ თუ წყალი! ვერ ხედავ რა ყვითელია!?

— თქვენ ალბათ ახალ ჩამოსული ბრძანდებით და ამისათვის გიკვირთ, თორემ ეს საუკეთესო წყალია! ქალაქის მამები ამას საგანგებოთ ამზადებენ ხოლერის ბაცილებს წინააღმდეგ საბრძოლველათ. კუქის ტივილისათვისაც უებარი წამალია და აბაბოლადა ჩემმა მოსაუბრემ.

— კი, მაგრამ, რას ურევენ წყალში, რომ ასე ყვითელია?

— ეს მტკვრის ტალახი გახლავთ, ბატონო, და ხომ მოგხსენებათ, რომ მტკვრის ტალახი თავის სამკურნალო ღირსებებით განთქმულია!

მე დაგკმაყოფილდი ამ პასუხით და თან გამაღებელი ვილუკმებოდი, მაგრამ ჯერ ჩემი კერძის ნახევარიც არ მქონდა შექმული, რომ შიგ ადმოვაჩინე რამოდენიმე ბუზი და ერთი წუმწუმის ნატეხი. სიმშილი მწარე ყოფილა, ამისათვის მე ყურადღებაც არ არ მიმიქცევია და ისევ განვაგრძობდი ქამას, მაგრამ ჩემ კოვზს ბოლოს პაპიროზის ნამწვავიც ამოყვა. ეს ვედარ ავიტანე, ხელიდან გადავდე კოვზი და ზეზე წამოვარდი. გულის რევა ვიგრძენი, საჩქაროთ გადაუგდე სისადილოს პატრონს მისი ხვედრი და ქუჩაში გავიქერი.

5. ნარეცხი წყალი

გაბოროტებული და ბოღმა მორეული ჩქარის ნაბიჯით უგზო უკვლოთ მივიღიდი ქუჩაში, ვინ იცის საით. ოჰ, როგორი ზაფრის ქარები ამივარდებოდა, როდესაც მოვიგონებდი, რომ ყოველივე ეს თბილისში და შემართა, იმ თბილისში, რომლის ნახვას და დათვლიერებას ასე მოუთმენლათ ველოდი, რომლის მარტო გახსენება ვინ იცის როგორ სიხარულს აღმამრავდა გულში. ეხლა კი, ეჰ, როგორ დამისხვრა ჩემი ფცნება! ნუ თუ ამას მოველოდი თბილისისგან?! ასეთ მღელვარე ფიქრებში გავიარე ერთი ვიწრო ქუჩა (სადაც საშინე-

ლი სულის შემხუთავი სუნი ტრიალებდა, ღობა ქალაქის სანიტარებისაგან საგანგებოთ დაყენებულ ხოლერის ბაცილებს წინააღმდეგ) და ჭაყვიდი საკმაოდ ფართე და სუფთა ქუჩაზე. აქ კი გულს ცოტა მოეშვა, დამიწყნარდა, ბოღმა-ნადღელიც თადა თან მცირდებოდა და რაღაც ისევ ხალისი ხასიათზე ვდგებოდი. ალბათ აქ მამული შვილურ გრძობამ დასძლია პირად ინტერესებს. ის იყო ქუჩის შესახვევს დაეუახლოვდი და მიწოდდა „გოროდოვის“ დაკითხვობილი თუ რომელ ქუჩაზე სად ვიმყოფებოდი; რომ უეცრად ჩემს გვერდობრმა მშენიერმა მტრედმა ჩაიქროლა. დიან ორმტრედმა, რადგანაც მათ დასახსიათებლათ სისიტყვა ვერ მომიგონია! თოვლივით თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ფეხზე მოწითალო ფეხსაცმელებით და თავზე ძვირფას ფრთებიანი თეთრი ქუდით, ისინი ისე სწრაფათ მისრიალებდნენ ქუჩაში რომ გვეგონებოდათ, სწორეთ მიფრინავნო. მათგანდმონატორცხმა შავთვალთა ისრებმა ჩემი გულ დასქრეს და დაკოდი. მათი ფიქალი ღია გუმკერდი ანდამატოვით მიმზიდველობას იჩენდა. ამ მტრედებმა დამავიწყა ყველაფერი; ტრამვი ავტომობილიც, სისადილოც, ჩემოდანიც და რგორც ვხა აზნეული ცხვარი თხას დაინახავს უკან გამოუდგება, ისე მეც რაღაც ძალა უნებრათ ვიბრუნე ფრონტი და გამოვუდექი მათ. დიხანს ვსდგი, გადავწყვიტე რაც უნდა მომსვლო გამეცნო ისინი. შესაფერი დროც მალე დამდისინი უეცრათ შეჩერდნენ ერთ ქუჩის შესახვევ რაღაც ლაპარაკი და სიცილი მორთეს. მეც შოთახლო შევიჩრდი და ვსტკებოდი მათი ცქერდროგამოშვებით ისინი ჩემსკენაც გამოიხედავ არშიყულის თვლებით და მხიარულათ გადაიკისებდნენ. ალბათ შემამჩნიეს, რომ მე მათ გუქერდი. „ეჰ, დადგა სასურველი დრო!-გაივ გულში, მოდი მივალ და გავეცნობი!“ ეს ვსთდა კიდევაც გადავდე ერთი ნაბიჯი მათკენ, რუეცრად ზემოდან რაღაცამ ითქვეფა და მსწრაფლ ზევიდან გადმოსხმულ წყლის შეფხვში ვეხვიე!—აქ ერთ წამს გავშეშდი, ქანდაკებასა გაუნძრევლათ ვიდექი, ვერ მიმხედარაფი რამემართა. შემდეგ, როდესაც გამოვერკვიე, ზეავიხედე და მეორე სართულის ფანჯარაში დავიგამოწვდილი ტიტველი ქალის თეთრი მკლავი; მელსაც ის იყო ტასტი წყლიდან გაეთავისუფბია და ფანჯარაში შექქონდა, ალბათ ნარს

წყალი თუ გაღმობაქცია ქუჩაზე. აქ დავხედე ჩემს ტანსაცმელს და ვაი ჩემს თვალებს! ნეტამც არ დამენახა! ჩემი ქულის კალთებიდან ნელ წვიმასავით მოწვეთავდა ბინძური წყლის წვეთები, წვრილი საპნის ბუშტები კი ნელ-ნელა მისცურავდა ჩემ ახლად გარეცხილ თეთრ ტუჩურკაზე და წვეთად ქცეული შარავლს ეწვეთებოდა.

— ღმერთო! ეს კიდევ რა უბედურება მომივილინე? ნუ თუ ესეც მაკლდა! თითქმის სასოწარკვეთილებით წამოვიძახე მე და ჩემს გარშემო მივიხედ-მოვიხედე და მხოლოდ ესლა შევამჩნიე, რომ ჩემი ორი მტრედები მიცქვრდნენ და სიცილით იხოცებოდნენ. ოჰ, ესლაც კი მესმის მათი გულის შემზარავი სიცილ-კისკისი, ამ კისკისის თითოეული ხმა, თითოეული ამოძახილი ტყვიასავით ხვდება ჩამს გულს. სირცხვილისაგან ოფლი კბილში გამომივიდა, ვგრძნობდი, რომ საშინლათ გავწითლდი. ჩემმა სახემაც აღბათ ძლიერ შესაბრალოსი და სასაცილო, იდიოტური, გამომეტყველება მიიღო, რადგანაც ყველა გამვლელ-გამომვლელი ჯერ ერთს შებრალებით შემომხედავდა, მერე საზარლათ გადაიხარხარებდა და გასწევდა თავის გზაზე. დიდხანს ვიდექი ამ მდგომარეობაში ერთ იდგილას. „ოჰ რისთვის არ დაიქცა, ის დღე და ის საათი, რა საათშიც მე თბილისის ნახვის სურვილი დამებოდა!“ ეს სიტყვები აღმოაჩნდა მე უკანასკნელათ გულის სიღრმიდან ქვითინით. მოვწყდი იმ ადგილს და ანგარიშ მიუცემლათ გვივიეთ გავიქეცი. ვინ იცის, საით მიგრბოდი შეუჩერებლათ, დაუსვენებლათ, უგრძობლათ. მე მხოლოდ მაშინ შეეჩერდი, როდესაც ცემენტის კიბეს წავებორკე და ზედ დავეცი. აქ გამოვერკვიე და დავინახე, რომ ამოდენა გზა დაუსვენებლათ, სირბილით გამოვევლო და სადგურთან მრგუსულიყავი. დაღამებულიყო, ეს კიდევაც გამიხარდა, რადგანაც მატარებელი ის იყო გადიოდა თბილისიდან: საჩქაროთ ვიყიდე ბილეთი და გავექანე მატარებლისაკენ. ნახევარ საათის შემდეგ მე ისევ ელვის სისწრაფით მიმაქროლებდა მატარებელი თბილისიდან დასავლეთ საქართველოაკენ.

ოჰ! როგორღა გამიწყრება ღმერთი და როგორ გავატარებ გულში თბილისის ნახვის სურვილს“.

ასე დაათავა თავისი მოგზაურობის ამბავი ჩემმა მეგობარმა.

ლონგინიუს პოდბიპენტა.

# დეპეშები

## ს. წალღერი.

სარწმუნო წყაროებიდან გაუგია ჩენს კორე-სპოდენტს, რომ კარტის მოთამაშეთა ჯგუფს დიდი ეირიშების შემდეგ აულიათ წალღერის სამკითხველო და შიგ გამაგრებულან. ამბობენ, დიდი სტრატეგობა გამოიჩინა ე—ო ბ—ემ ამ სიმეგრის აღების დროსო.

დაბა ბორჯომიდან გვატყობინებენ, იქ გამართულ საღამოზე დანიშნული იყო „პრიზი“ იმ ქალისთვის ვინც ყველაზედ ზორბა აღმოჩნდებოდა. დამსწრე საზოგადოებაში პირველობა ქ-ნ. —ძეს რგებია.

### კახეთის რკინის გზის სამართველოდგან.

გიორგი პავლეს ძე თუმანიშვილი უფროს ამბობს კახეთის რკინის გზის დირექტორობაზედ თუ ტეხნიკი ხარითნოვი ექსპლოატაციაში არ დარჩებოა.

### იქიდანვე.


მესუთე დღეა, რაც უმფროს ბულალტერს ბ-ნ იაკობსონს მოსამსახურეთათვის დედა არ შეუგინებია.

### იქიდანვე.

კანცელარიის გამგეს, ბ.ნ. ჯორჯაძეს გადაუწყვეტია, რადგანაც მალე გზა გადაღის თავად აზნაურობის ხელში, ხუთშაბათობით მიხონვენლებს ანახოს უფროსი ინჟინერი რაციბორსკია...

### იქიდანვე.

როგორც რევიზიის დროს აღმოჩნდა, ათი თვის გამავლობაში კახეთის ნავთლულის სადურის უფროს ბ-ნ ბაქრაძეს მოსამსახურეთა და მოიჯარადრეთა წინააღმდეგ ამავე სამართველოში 17989 დაბეზლების ხასიათის ტელეფონოგრამა გაუგზავნია.



# ქალაქ თფილისში

გამოდის უოკელ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

# ეჭმაკის მათრასი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეჭმაკი და თაგუნა**,  
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი 12 თვით 5 მ. ♦ 6 თვით 3 მ. ♦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.  
„ეჭმაკის მათრასში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

◆ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

**Тифлисъ** \*)

С. Р. Таварტიладзе.  
Олгинская 6,  
Почтов. ящ. № 96.

(ეჭმაკის მათრასისათვის)



\*) ეს ადგილი კონფერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვავიწყებთ, რომ  
◆ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ◆